სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #4

**ქ. თბილისი** **2019 წლის 4 ნოემბერი**

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1.აბესაძე ნინო 2. ნაზირა კაკულია 3. საბაური ლევანი 4. ხოხობაია მერაბი 5. სახვაძე საბა 6. ზერაძე თამარი 7. ლაში თამარი 8. არჩვაძე ნათელა 9. თუთბერიძე ბეჟანი 10. არნოლდ გეგეჭკორი 11. მუკბანიანი ომარი 12. ჩხაიძე სიმონი 13. თავხელიძე ილია 14. ონიანი ლუკა 15. ტაბატაძე გიორგი 16. ივანიძე მაია 17. გარიშვილი მარინა 18. ყალიჩავა კობა 19. ონიანი ირაკლი 20. ჯავახიშვილი არჩილი 21. მარანელი სანდრო 22. მარგველაშვილი ვლადიმერი 23. ქიტუაშვილი თინა 24. ხოდელი ნოდარი 25. გოგსაძე გიორგი 26. ჭალაგანიძე ნინო 27. გაბაშვილი ალექსანდრე 28. ჩიტაია დაჩი 29. ჟვანია ირინე 30. ლორია კახაბერი 31. ზაქარიაძე ანასტასია 32. ოთხმეზური გიორგი 33. რუსეიშვილი მანანა 34. ვარდოშვილი ეკა 35. თაბუაშვილი აპალონი 36. თვალაძე მარიამი 37. კეჟერაშვილი შოთა 38. ხუციშვილი დინა 39. დვალიშვილი ბექა 40. გაიპარაშვილი ზურაბი 41. სუმბაძე ციური 42. გვანცელაძე გვანცა 43. ახალბედაშვილი ლალი 44. კაკულია ეთერი 45. ხუციშვილი მარინე 46. ნემსაძე ადა 47. რუხაია მიხეილი 48. ხუციშვილი სოფიო 49. ჩალაძე თამილა 50. ნიკოლაიშვილი მანანა 51. გურგენიშვილი მარინა 52. ლომიძე ნოდარი (დანართი 1)

**სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:** 1. ავაზაშვილი ნიკოლოზი 2. ამირანაშვილი ავთანდილი 3. გონაშვილი ვასილი 4. გოცირიძე დავითი 5. კვინიკაძე მურმანი 6. ლობჟანიძე გია 7. მექვაბიშვილი ელგუჯა 8 .სილაგაძე ავთანდილი 9. ფერაძე გოჩა 10. ფურთუხია ომარი 11. ქურდაძე ირინე 12. ქურდაძე რამაზი 13. ღვედაშვილი გიორგი 14. შავლაყაძე ნუგზარი 15. შენგელია თემური 16. ცაგარელი ზურაბი 17. ცისკარიძე ალექსანდრე 18. წერეთელი მარი 19. ხარშილაძე ირმა 20. ხუსკივაძე მამუკა (დანართი 2)

**დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად შემდეგი სახით:**

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისთვის სტატუსის შეწყვეტა (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი ღაღანიძე)
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ვაჟა ტრაპაიძე)

4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: თამარ რუხაძე)
5. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის #137/2016 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის #131/2019 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: მამუკა ხუსკივაძე)
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ირაკლი საღარეიშვილი)
7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობის განკარგვის საკითხი (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მაკულატურის შემდგომი განკარგვის საკითხი (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

**წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.**

1.თსუ სენატის სამდივნოს უფროსმა გიორგი ჩაკვეტაძემ სხდომის წინაშე დასვა საკითხი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლის - სალომე თოფურიასათვის სენატის წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სალომე თოფურია თსუ მაგისტრატურის კურსდამთავრებულია, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კი, აღნიშნული გარემოება სენატის წევრობის შეწყვეტის საფუძველია. ვინაიდან, 2018 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით სალომე თოფურიას უფლებამონაცვლე არ ჰყავს, აღნიშნულ ადგილზე უნდა დაინიშნოს ახლი არჩევნები.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.**

**მომხრე: 52**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** შეუწყდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს სალომე თოფურიას.

2. საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილება. როგორც მომხსენებელმა, ფაკულტეტის დეკანმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნა ახალი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა. შესაბამისი ცვლილება შევიდა ფაკულტეტის დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში და დაემატა „ი' '' ქვეპუნქტი. აღნიშნული ცვლილება მიღებული იქნა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2019 წლის 15 აგვისტოს სხდომაზე და ამჯერად წარმოდგენილია სენატის წინაშე დასამტკიცებლად. აღნიშნა, რომ ცვლილება არ იწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელს კითხვით მიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა დაჩი ჩიტაიამ და აღნიშნა, რომ თსუ მენეჯმენტისა და ადმინისტრიტების კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ნარმანია, სენატის წევრებისათვის გამოგზავნილ მიმართვაში, კერძოდ, წერილის მე-2 პუნქტში მიუთითებს, რომ არ არის განსაზღვრული და წარმოდგენილი ამ ახალი კათედრის სასწავლო-სამეცნიერო მიმართულება, ახალი სასწავლო კურსები (სილაბუსები), განსხვავება არსებული კათედრებისაგან, ადგილი საგანმანათლებლო პროგრამებში და ა.შ. აქედან გამომდინარე, სენატის წევრი დაინტერესდა, არსებობს თუ არა რაიმე სტრატეგიული, სამოქმედო გეგმა, სასწავლო კურსები და ა.შ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და გარკვეულწილად დაძაბული ფონისა, გადაწყვეტილება მიღებული იქნა კონსესუსის საფუძველზე, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის შედეგად. აღნიშნა, რომ კათედრის შექმნა კავშირში არ არის სილაბუსების შედგენასთან, ამასთან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით გარდამავალ პერიოდად განისაზღვრა ორი სასწავლო სემესტრი, 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან. ხოლო, გარდამავალ პერიოდში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების და გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრების წევრთა აკადემიური დატვირთვები და სასწავლო საათების განაწილება განხორციელდება ორი პროფესორის ხელმძღვანელობით, გარდამავალ პერიოდში კი მიმდინარე პროცესებზე მონიტორინგს განახორციელებენ ფაკულტეტის წარმომადგენლები აკადემიურ საბჭოში.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.**

**მომხრე: 52**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით. (დანართი 3)

3. სენატის წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები. მომხსენებელმა ვაჟა ტრაპაიძემ ისაუბრა დებულებაში შესატან კონკრეტულ ცვლილებებზე მუხლობრივად. აღნიშნა, რომ დებულებაში

სამი ცვლილებაა გათვალისწინებული და ეს ცვლილებები დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2019 წლის 17 მაისის და 2019 წლის 30 ივლისის სხდომებზე.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.**

**მომხრე: 52**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 4)

4. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები. მომხსენებელმა, თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, თამარ რუხაძემ აღნიშნა, რომ ცვლილებები ითვალიწინებს დებულებიდან მე-8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და დებულების IX თავის ამოღებას. აღნიშნული ცვლილების განხორცილების აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ცვლილებები შეეხება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თემატიკას. აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ სექტემბერში მიღებული იქნა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესახებ დადგენილება.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები**

**მომხრე: 52**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 5)

5. დასამტკიცებად წარმოდგენილი იქნა “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის #137/2016 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის #131/2019 დადგენილება. როგორც მომხსენებელმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის #131 დადგენილებით ცვლილება შევიდა ინსტიტუტის ძირითად სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში და ნაცვლად 7-ისა განისაზღვრა 5 ერთეულით. ამასთან ინსტიტუტის მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს დაემატა პუნქტი “დ“ ,,აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო სფეროებში“.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები**

**მომხრე: 52**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ნმანათთბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის #137/2016 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის #131/2019 დადგენილება. (დანართი 6)

6. საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა სსიპ ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები. როგორც მომხსენებელმა, თსუ საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი საღარეიშვილმა აღნიშნა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის ნაშთის, მოსალოდნელი შემოსავლების და ხარჯების დაზუსტების გამო აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. შემოსავლით ნაწილში ცვლილება ძირითადად განპირობებულია, 2018 წლის გარდამავალი ნაშთისა და მოსალოდნელი ეკონომიკური შემოსავლების დაზუსტებით. ასევე, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის, მე-2 კორპუსის სარემონტო სამუშაოებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი ასიგნებების, ეროვნული და საერთაშორისო გრანტების დაზუსტებით. კერძოდ, თსუ 2019 წლის ნაერთ ბიუჯეტში, ,,სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა

შემოსავლების’’ (ეკონომიკური საქმიანობიდან) ნაწილში, ცვლილება შეეხო გარდამავალი ნაშთის, მოსალოდნელი შემოსავლის და ხარჯების დაზუსტებას, მოსალოდნელი შემოსავლები გაიზარდა 1 861 747 ლარით (მედიცინის ფაკულტეტზე დამატებით უცხოელი სტუდენტების მიღების ხარჯზე, საკალათბურთო გუნდი თსუ-ს დაფინანსებით, კვლევითი ინსტიტუტების მიერ ეკონომიკური საქმიანობით შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებით და საქართველოს ბანკის მიერ სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად თანხის გამოყოფით). შესაბამისად, გაიზარდა გადასახდელებიც, რომლებიც გადანაწილდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახსრები რითაც დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა (გარდა მიზნობრივი დაფინანსებისა) თითქმის მთლიანად გადანაწილდა სარემონტო სამუშაოებზე და ინფრსატრუქტურულ პროექტებზე (1300000 ლარამდე). რაც შეეხება, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიუჯეტები გაწერილი და დამტკიცებული იყო (13 947 700 ლარი) მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე, რომლებმაც წლის განმავლობაში განიცადა ცვლილებები (,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ’’ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N189; 23 აპრილის N529; 30 ივლისის N975 ბრძანებები) და განისაზღვრა 12 584 334 ლარით, რაც უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის პროექტში გაიწერა საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკური კალასიფიკაციის მუხლების გათვალისწინებით, ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად. როგორ მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილება შეეხო ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივ დაფინანსებასაც. კერძოდ, თანხა გამოიყო: ,,ინფრასტრუქტურის განვითარების (მეორე კორპუსის სარემონტო სამუშაოები 4 000 000 ლარი), 26 მაისის ღონისძიებების, განათლების საერთაშორისო გამოფენის, ევროპის აკადემიის ფილიალის რეგიონალური ჰაბის, ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ცენტრის, აბიტურიენტთა მოსამზადებლი ცენტრის დასაფინანსებლად, რამაც ჯამში შეადგინა 5 723 432 ლარი. თანხა გადანაწილდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის მიზნობრივი დაფინანსებით დამტკიცებული ხარჯთაღიცხვის შესაბამისად.
აღინიშნა, რომ 2019 წლის უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი შემოსავლების ნაწილში გარდამავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვრა 87 693 482 ლარით, ხოლო გადასახდელები (მთლიანი ასიგნებანი) -87 693 482 ლარით.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები**

**მომხრე: 52**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს თსუ 2019 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 7)

7. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობის განკარგვის საკითხი. მომხსენებელმა, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ აღნიშნა, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, მე-2 სასწავლო კორპუსში ჩატარებული სარემონტო სამუშოების დასრულების შემდეგ დარჩენილი მატერიალური ფასეულობებაა ჯართი, სავარუდო წონით 50 ტონის ოდენობით. (მათ შორის თუნუქი – 6662 კვ.მ – სავარაუდო წონით 22 000 კგ; ცენტრალური გათბობის ბატარეა (4096 ცალი სექცია) და სხვა). აღინიშნა, რომ შემდგომი განკარგვისთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჭიროა წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობა და მიმართა სენატს ამ თანხმობის მიღების თხოვნით.

საკითხის ირგვლივ თავისი აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ნოდარ ლომიძემ, ბეჟან თუთბერიძემ და ომარ მუკბანიანმა.

**საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.**

**მომხრე: 52**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობის განკარგვაზე. (დანართი 8)

8. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მაკულატურის შემდგომი განკარგვის საკითხი. მომხსენებელმა, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ აღნიშნა, რომ 8 ტონა მაკულატურიდან 7,5 ტონა არის თსუ-ს საკუთრებაა, ხოლო 0,5 ტონა - სახელმწიფო საკუთრება. შემდგომი განკარგვისთვის, მოქმედი კანონმედბლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ითხოვა წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობა. ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან მაკულატურის ნაწილი უნივერსიტეტის საკუთრებაა, ხოლო ნაწილი სახელმწიფოსი, მათი განკარგვა კანონდებლობის შესაბამისად განხვავებული წესებით რეგულირდება.

**საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.**

**მომხრე: 52**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მაკულატურის შემდგომ განკარგვაზე. (დანართი 9)

სხდომის დასასრულს, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა გიორგი ოთხმეზურმა საბჭოს წინაშე დასვა აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების საკითხი და აღნიშნა, რომ თსუ-ში მოქმედი წესი, განსხვავებული ანაზღაურება ფაკულტეტების მიხედვით არასამართლიანია და არათანაბარ პირობებში აყენებს თსუს აკადემიურ პერსონალს. აღნიშნა, რომ მიუხედავად დაპირებისა, საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია, უნივერსიტეტის ბიუჯეტის განხილვის დრო კი მოახლოვებული.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ბატონი გიორგი ოთხმეზურის მიერ დასმული საკითხი ყველას ინტერესშია და რომ უნდა ვიმოქმედოთ უნივერსიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვრცლად ისაუბრა უნივერსიტეტის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, ამასთან აღნიშნა, რომ 2020 წლის თებერვლიდან იგეგმება დაფინანსების ახალ წესზე გადასვლა და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად შეეცდება უნივერსიტეტის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ჩაკვეტაძე

დანართი 1

## სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები 2019 წლის 4 ნოემბერი

### ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**პროფესორები:**

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

საბაური ლევანი -

ხოხობაია მერაბი -

**სტუდენტები:**

სახვაძე საბა -

სიამაშვილი ირაკლი -

ბერაძე თამარი -

შვანგირაძე მათე -

ჯაფოშვილი გიორგი -

ლაშხი თამარი -

### ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

გეგეჭკორი არნოლდი -

მუკბანიანი ომარი -

ჩხაიძე სიმონი -

თავხელიძე ილია -

**სტუდენტები**

ბილისეიშვილი გიორგი -

მუმლაძე ლაშა -

ონიანი ლუკა -

ტაბატაძე გიორგი -

**იურიდიული ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

თუმანიშვილი გიორგი -

ივანიძე მაია -

გარიშვილი მარინა -

ყალიჩავა კობა -

**სტუდენტები:**

ონიანი ირაკლი -

თურმანიძე ლუკა -

ჯავახიშვილი არჩილი -

მარანელი სანდრო -

**მედიცინის ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

ხოდელი ნოდარი -

ჩხაიძე ზურაბი -

**სტუდენტები:**

უმფრიანი ლერი -

ჩართოლანი ანა -

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

გოგსაძე გიორგი -

დუნდუა სალომე -

ჭალაგანიძე ნინო -

**სტუდენტები:**

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ჩიტაია დაჩი -

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**პროფესორები:**

ქვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

**სტუდენტები**

ცანავა ქეთევანი -

თოფურია სალომე -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

ლორია კახაბერი -

ზაქარიაძე ანასტასია -

ბახტაძე მიხეილი -

ბჟალავა ელისაბედი -

ოთხმეზური გიორგი -

რუსეიშვილი მანანა -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპალონი -

**სტუდენტები**

თვალაძე მარიამი -

ცოფურიშვილი ნიკოლოზი -

კეჟერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

დვალიშვილი ბექა -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

ღარიბაშვილი ირაკლი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

გვანცელაძე გვანცა -

**თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი**

ცქიტიშვილი თემური -

**ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი**

იოსელიანი ხათუნა -

**ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი**

ახალბედაშვილი ლალი -

**პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

კაკულია ეთერი -

**რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

ხუციშვილი მარინე -

**შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

ნემსაძე ადა -

**ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

რუხაია მიხეილი -

**ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი**

ხუციშვილი სოფიო -

**თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი**

ჩალაძე თამილა -

**მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი;**

ნიკოლაიშვილი მანანა -

**პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

გურგენიშვილი მარინა -

**მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;**

ლომიძე ნოდარი -

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №4
დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია
2019 წლის 4 ნოემბერი

1. გიორგი შარვაშიძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე -
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ -
3. ამირანაშვილი ავთანდილ -
4. ანანიაშვილი ნათელა -
5. გამყრელიძე ერეკლე -
6. გონაშვილი ვასილ -
7. გოცირიძე დავით -
8. ვაშაკიძე თამარი -
9. ზაუტაშვილი მარინე -
10. იმნაძე პაატა -
11. კერესელიძე დავით -
12. კვინიკაძე მურმან -
13. კუხიანიძე ალექსანდრე -
14. ლობჟანიძე გია -
15. ლომიძე გაგა -
16. მაისაშვილი ხათუნა -
17. მესტვირიშვილი მაია -

18. მექვაბიშვილი ელგუჯა -

19. მინდაძე ნინო -

20. სანაძე რუსუდან -

21. სილაგაძე ავთანდილ -

22. ფერაძე გოჩა -

23. ფურთუხია ომარ -

24. ქიტიაშვილი ანასტასია -

25. ქურდაძე ირინე -

26. ქურდაძე რამაზ -

27. ღვედაშვილი გიორგი -

28. ყარალაშვილი თამაზ -

29. ყულიჯანიშვილი აკაკი -

30. შავლაყაძე ნუგზარ -

31. შანიძე რევაზი -

32. შენგელია თემური -

33. ცაგარელი ზურაბ -

34. ცინცაძე ნოდარ -

35. ცისკარიძე ალექსანდრე -

36. წერეთელი მარი -

37. ხარშილაძე ირმა -

38. ხუსკივაძე მამუკა -

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების მე-14 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №13 ოქმის საფუძველზე,

**დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს შემდეგი გადაწყვეტილება:**

1. შეიქმნას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახალი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;

2. განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნტში და დაემატოს „ი$^1$“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ი$^1$) გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

N 21164/29
30/10/2019

21164-29-3-201910301432

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანს,
ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონო გიორგი,

მიმდინარე წლის 4 ნოემბერს დანიშნულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა. აღნიშნულ სხდომაზე უნდა განიხილონ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების საკითხი (ცვლილება მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N13, 15.08.2019). შესაბამისი კორესპოდენცია გადაეგზავნა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს, მ.წ. 4 აგვისტოს, წერილი N16610/29. გვინდა დამატებით გაცნობოთ, რომ საკითხი შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან, პერსონალის მართვის დეპარტამენტთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან (შესაბამისი სკანირებული დოკუმენტი თან ერთვის). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცვლილება არ იწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

წინასწარ გმადლობთ თანადგომისათვის.

პატივისცემით,

გიორგი ღაღანიძე

დეკანი
ადმინისტრაცია

უნივერსიტეტის ქ. 2, 0186 თბილისი, საქართველო
2. University Str., 0186 Tbilisi, Georgia
http://www.economics.tsu.ge

ტელეფონი: +(995 32) 230 00 32, 2 30 45 36 Tel.
ფაქსი: +(995 32) 230 00 32 Fax
ელ.ფოსტა: economics@tsu.ge; E-mail

# ა მ ო ნ ა წ ე რ ი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის №13 ოქმიდან

15.08.2019

მოისმინეს: ახალი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის შექმნის შესახებ.
/ფაკულტეტის დეკანი, გ. ღაღანიძე/

პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო საკითხის მომზადების წინა პირობები დეტალურად, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საბჭოსთვის წარსადგენი პროექტი შემდეგი რედაქციით:

1. შეიქმნას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახალი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;
2. გარდამავალ პრიოდად განისაზღვროს ორი სასწავლო სემესტრი, 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან;
3. გარდამავალ პერიოდში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების და გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრების წევრთა აკადემიური დატვირთვები და სასწავლო საათების განაწილება განხორციელდეს ორი პროფესორის - გიორგი ღაღანიძისა და დავით ნარმანიას ხელმძღვანელობით;
4. განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში და დაემატოს „ი$^1$" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„ი$^1$) გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;"
5. ეთხოვოს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს დაამტკიცოს ამ გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება/დამატება ფაკულტეტის დებულებაში;
6. გარდამავალ პერიოდში მიმდინარე პროცესებზე მონიტორინგი განახორციელონ ფაკულტეტის წარმომადგენლებმა აკადემიურ საბჭოში - აკადემიკოსი ა. სილაგაძე, პროფესორი ე. მექვაბიშვილი და პროფესორი თ. შენგელია.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: ა.სილაგაძემ, დ.ნარმანიამ, ასვე საბჭოს არაწევრმა

ასოცირებულმა პროფესორებმა: ე.ჩოხელმა, მ.ხარხელმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28

წინააღმდეგი - 2

დაადგინეს:

1. შეიქმნას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახალი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;

2. გარდამავალ პრიოდად განისაზღვროს ორი სასწავლო სემესტრი, 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან;

3. გარდამავალ პერიოდში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების და გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრების წევრთა აკადემიური დატვირთვები და სასწავლო საათების განაწილება განხორციელდეს ორი პროფესორის - გიორგი ღაღანიძისა და დავით ნარმანიას ხელმძღვანელობით;

4. განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნტში და დაემატოს „ი$^{1}$" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ი$^{1}$) გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;"

5. ეთხოვოს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს დაამტკიცოს ამ გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება/დამატება ფაკულტეტის დებულებაში;

6. გარდამავალ პერიოდში მიმდინარე პროცესებზე მონიტორინგი განახორციელონ ფაკულტეტის წარმომადგენლებმა აკადემიურ საბჭოში - აკადემიკოსი ა. სილაგაძე, პროფესორი ე. მექვაბიშვილი და პროფესორი თ. შენგელია.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: გ. ღაღანიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. მაისურაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №4, დანართი 4

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ“ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 17 მაისის ოქმი №3 და 2019 წლის 30 ივლისის ოქმი №5 გადაწყვეტილების საფუძველზე,

შევიდეს შემდეგი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის N9 ოქმით დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნირებათა ფაკულტეტის დებულებაში:

1. დებულების 33-ე მუხლს ,,გ” ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ” ქვეპუნქტი:

,,დ) შოთა ვაშაკიძის სახელობის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“.

2. დებულების 35-ე მუხლის ,,თ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,თ) აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“.

3. დებულების 35-ე მუხლს ,,შ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჩ” ქვეპუნქტი:

,,ჩ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის და აიდაჰოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“.

N 16637/28 04/09/2019

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად გთხოვთ განიხილოთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები

1. დებულების 33-ე მუხლს "გ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს "დ" ქვეპუნქტი:

,,დ) შოთა ვაშაკიძის სახელობის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი".

2. დებულების 35-ე მუხლის ,,თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,თ) აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი".

3. დებულების 35-ე მუხლს ,,შ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ჩ" ქვეპუნქტი:

,,ჩ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აიდაჰოს (აშშ) სახლმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი".

აღნიშნული საკითხები დამტკიცებულია დაკულტეტის საბჭოს მიერ 2019 წლის 17 მაისის და 2019 წლის 30 ივლისის სხდომებზე, ასევე შეთანხმებულია იურიდიულ, პერსონალის მართვის და საფინანსო დეპარტამენტებთან.

პატივისცემით

ვაჟა ტრაპაიძე

დეკანის მოადგილე
ადმინისტრაცია

# ამონაწერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 17 მაისის სხდომის

**#3 ოქმიდან**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23.

დღის წესრიგი:

1. ქიმიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში ცვლილების შესახებ;
2. საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ;
3. საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო თემების დამტკიცების შესახებ;
4. მიმდინარე საკითხები.

**4. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

4.1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშვებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ;
4.2. სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის" დოქტორანტ არჩილ დურგლიშვილის სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე წარმოდგენის შესახებ;
4.3. ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტის დასახელებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**4.3. მოისმინეს:** ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტის დასახელებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ინსტიტუტის საერთო კრების გადაწყვეტილების (იხ. დანართი 5) საფუძველზე ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასახელება უნდა შეიცვალოს ახალი დასახელებით „აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის ინსტიტუტი". ამისთვის საჭირო გახდება ფაკულტეტის საბჭოს თანხმობა და დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა. გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა აირჩიეს ახალი დირექტორი და სურთ, რომ ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცოს იგი.

**აზრი გამოთქვა:** პროფესორმა ა.შენგელაიამ. იგი ამავე დროს არის ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარე. ბატონმა ა.შენგელაიამ წამოაყენა წინადადება, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში

პერსონალის და/ან ხელმძღვანელის ცვლილება, მიზანშეწონილია სტრუქტურული ერთეულების კომისიამ წინასწარ განიხილოს, რაზეც საბჭოს წევრები დაეთანხმნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტის დასახელების შეცვლის საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე: 23 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

**4.3. დაადგინეს:** შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის დებულების 35 მუხლის თ) პუნქტში და ჩანაწერი „ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი" შეიცვალოს სიტყვებით „აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი".

**ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,**
**ასოცირებული პროფესორი** **რამაზ ხომერიკი**

**ამონაწერი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის სხდომის

**#5 ოქმიდან**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 30 ივლისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 21.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
2. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების შესახებ;
3. თსუ მე-2 კორპუსის აუდიტორიებისთვის ღვაწლმოსილი ფიზიკოსების სახელის მინიჭების შესახებ;
4. მიმდინარე საკითხები.

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ა.შენგელაიამ. კომისიის სხდომაზე განხილული იყო რამოდენიმე საკითხი (იხ. დანართი 2.0 - კომისიის სხდომის ოქმი). კერძოდ,

   1) კომისიის სხდომაზე განიხილეს ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო კვლევითი ინსტუტუტის თანამშრომელთა საერთო კრების გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიამ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა შემდეგი წინადადებები: ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნოს ზელა კვირკველია, გიორგი კეკელიძე მიღებულ იქნას ინსტიტუტის თანამშრომლად და დაინიშნოს დირექტორის მოადგილედ (იხ. დანართი 2.1);

   2) კომისიის სხდომაზე ერთხმად დააკმაყოფილეს ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის რამაზ ხომერიკის თხოვნა ფაკულტეტზე ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ. ცენტრის მიზანია უნივერსიტეტში საშუალო სკოლის ნიჭიერი მოსწავლეების მოზიდვა, საოლიმპიადო ნაკრების მომზადება და ნიჭიერ მოსწავლეთა ჩართვა კვლევით პროექტებში. ცენტრი განთავსებული იქნება თსუ მეორე კორპუსის 109 აუდიტორიაში ზოგადი ფიზიკის ოპტიკის ლაბორატორიასთან ერთად. კომისიამ ასევე მხარი დაუჭირა ბატონი რამაზის ინიციატივას ცენტრისათვის პროფესორ შოთა ვაშაკიძის სახელის

მინიჭების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებები წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად (იხ. დანართები 2.2);

**აზრი გამოთქვეს:** ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან მოკლედ ისაუბრა ცენტრის მიზნების შესახებ. პროფესორებმა უ.გოგინავამ, დ.ძიძიგურმა სურვილი გამოთქვეს სამომავლოდ ანალოგიური ცენტრების შექმნის შესახებ მათემატიკასა და ბიოლოგიაში.

3) კომისიამ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა საკითხი თბილისისა და აიდაჰოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მულტიდისციპლინური ს/კ ინსტიტუტის თსუ დაქვემდებარებიდან ფაკულტეტის დაქვემდებარებაში გადასვლის და ახალი სტრუქტურის დამტკიცების შესახებ (იხ. დანართები 2.3);

4) ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინა სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ მკვლევარის პოზიციაზე ლევან კუკუტარიას დამტკიცების საკითხი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ თამაზ მძინარაშვილის განცხადების საფუძველზე (იხ. დანართი 2.4).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებული საკითხები.

**კენჭისყრის შედეგები:** 1) მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0;
2) მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0;
3) მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0;
4) მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:**

1) ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო კვლევითი ინსტტუტუტის დირექტორად დამტკიცდეს ზელა კვირკველია, გიორგი კეკელიძე მიღებულ იქნას ინსტიტუტის თანამშრომლად და დაინიშნოს დირექტორის მოადგილედ;
2) შეიქმნას შოთა ვაშაკიძის სახელობის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
3) შეიქმნას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აიდაჰოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
4) სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ მკვლევარის პოზიციაზე დამტკიცდეს ლევან კუკუტარია;

ამასთან შევიდეს შესაბამისი ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში. კერძოდ,

- 33-ე მუხლს დაემატოს:
  დ) შოთა ვაშაკიძის სახელობის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
- 35-ე მუხლს დაემატოს:
  ჩ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აიდაჰოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

**ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,**
**ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი**

ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის სხდომის ოქმით №1 დამტკიცებული მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში:

1. ამოღებულ იქნას დებულების მე-8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი;

2. ამოღებულ იქნას დებულების IX თავი.

ამონაწერი თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს 16 ივნისის სხდომის ოქმიდან

მოისმინეს:

პროფესორ კორძაიას წინადადება მედიცინის ფაკულტეტის დებულების შესახებ. შესაბამისად, ფაკულტეტის დებულებაში შევიდეს ცვლილება:

1. ამოღებულ იქნას დებულების მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი;
2. ამოღებულ იქნას დებულების IX თავი.

აზრი გამოთქვეს:

პროფესორებმა ნინო შარაშიძემ, თამარ კეზელმა, თამარ რუხაძემ, ალექსანდრე ალადაშვილმა. მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი პროფესორ დ. კორძაიას წინადადებას.

კენჭი უყარეს:

წინადადებას მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში შემოთავაზებული ცვლილებების შეტანას.

წინადადება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

თსუ მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში შევიდეს ცვლილება:

1. ამოღებულ იქნას დებულების მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი;
2. ამოღებულ იქნას დებულების IX თავი.

სხდომის თავმჯდომარე:



დ. კორძაია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF MEDICINE

N 21426/32
01/11/2019

21426-32-3-201911011751

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) თავმჯდომარეს,
პროფესორ მამუკა მარგველაშვილს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სამდივნოს უფროსს,
პროფესორ გიორგი ჩაკვეტაძეს

გთხოვთ, ა/წ 4 ნოემბერს დაგეგმილ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სხდომაზე დღის წესრიგში შეიტანოთ და განიხილოთ მედიცინის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში.

წერილს თან ერთვის საჭირო დოკუმენტაცია ცვლილებების შესახებ.

პატივისცემით,

თამარი რუხაძე

დეკანის მოადგილე
ადმინისტრაცია

ჭიაურელის ქ. 2, 0159 თბილისი, საქართველო
2, Chiaureli Str., 0159 Tbilisi, Georgia
http://www.medicine.tsu.ge

ტელეფონი: +(995 32) 291 31 25, 2 25 13 60 Tel.
ფაქსი: +(995 32) 252 09 76 Fax.
ელ.ფოსტა: medicine@tsu.ge; E-mail

# სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 131/2019 28 ოქტომბერი 2019 წ.

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ²“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ²“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 2019 წლის 17 ოქტომბრის №20172/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №16 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,დ“ ქვეპუნქტი:

,,დ) აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო სფეროებში.“;

ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ინსტიტუტის ძირითადი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ეკონომიკური თეორიის განყოფილება;

ბ) მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ფინანსების განყოფილება;

გ) სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება;

დ) ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება;

ე) საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობების განყოფილება.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

4. წინამდებარე დადგენილება და ამ დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ფინანსების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის ნაწილში ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აღნიშნულ თანამდებობაზე ჩასატარებელი კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე.

**გიორგი შარვაშიძე**

**რექტორი**

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 21267/10
31/10/2019

21267-10-3-201910311518

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ$^2$" ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №131/2019 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

დანართი 1

# სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი

| დასახელება | ლარი |
|---|---|
| ● ნაშთი | **10014 702** |
| მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან) | 3232 797 |
| მათ შორის: ნაშთი (საგანმანათლებლო, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და საქართ. ეროვნული ატლასი) | 932 284 |
| მათ შორის: ნაშთი ( ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების) | 4859 082 |
| მათ შორის: ნაშთი ( საერთაშორისო გრანტების) | 990 539 |
| ● შემოსავლები | **77678 780** |
| მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება, კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან) | 51591 920 |
| მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა) | 12584 334 |
| მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება-,, ინფრასტრუქტურის განვითარების, 26 მაისის ღონისძიებების ,განათლების საერთაშორისო გამოფენის, ევროპის აკადემიის ფილიალის რეგიონალური ჰაბის, ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის,, ქართულ- ოსურ ურთიერთობათა ცენტრის, აბიტურიენტთა მოსამზადებლი ცენტრის'' დაფინანსებისათვის. | 5723 432 |
| მათ შორის:,, სსიპ'' ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი თსუ-ს დაფინანსება | 400 527 |
| მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან -სახელმწიფო სტიპენდია | 960 000 |
| მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან | 3920 918 |
| მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან | 2497 650 |
| სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით | **87693 483** |
| **გადასახდელები (ნაერთი)** | |
| სულ ასიგნება | **87693 483** |
| I ხარჯები | **76820 991** |
| ● შრომის ანაზღაურება | **35784 481** |
| ● საქონელი და მომსახურება | **28686 429** |
| ● სუბსიდიები | **1964 015** |
| ● გრანტები | **207 374** |
| ●სოციალური უზრუნველყოფა | **140 000** |
| ● სხვა ხარჯები | **10038 692** |
| II არაფინანსური აქტივების ზრდა | **10872 492** |
| მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები | |
| სულ ასიგნება | **55225 244** |
| I ხარჯები | **53765 297** |
| ● შრომის ანაზღაურება | **27018 831** |
| ● საქონელი და მომსახურება | **22696 029** |
| ●გრანტები | **50 000** |
| ●სოციალური უზრუნველყოფა | **140 000** |

| | |
|---|---|
| ● სხვა ხარჯები | 3860 437 |
| II არაფინანსური აქტივების ზრდა | 1459 947 |
| მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები | |
| სულ ასიგნება | 12584 334 |
| I ხარჯები | 11134 750 |
| ● შრომის ანაზღაურება | 8765 650 |
| ● საქონელი და მომსახურება | 2340 400 |
| ● სხვა ხარჯები | 28 700 |
| II არაფინანსური აქტივების ზრდა | 1449 584 |
| მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში გაწეული ხარჯები | |
| სულ ასიგნება | 960 000 |
| I ხარჯები | 960 000 |
| ● სხვა ხარჯები | 960 000 |
| მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება-,, ინფრასტრუქტურის განვითარების, 26 მაისის ღონისძიებების , განათლების საერთაშორისო გამოფენის, ევროპის აკადემიის ფილიალის რეგიონალური ჰაბის, ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის, საქართველოს ეროვნული ატლასის ინგლისურენოვანი გამოცემის, ქართულ- ოსურ ურთიერთობათა ცენტრის, აბიტურიენტთა მოსამზადებლი ცენტრის'' დაფინანსების ფარგლებში გაწეული ხარჯები | |
| სულ ასიგნება (II) | 6655 716 |
| I ხარჯები | 495 515 |
| ● სუბსიდიები | 464 015 |
| ● სხვა ხარჯები | 31 500 |
| II არაფინანსური აქტივების ზრდა | 6160 201 |
| მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები | |
| სულ ასიგნება | 8780 000 |
| I ხარჯები | 8150 000 |
| ● საქონელი და მომსახურება | 3650 000 |
| ● სხვა ხარჯები | 4500 000 |
| II არაფინანსური აქტივების ზრდა | 630 000 |
| მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები | |
| სულ ასიგნება (I+II) | 3488 189 |
| I ხარჯები | 2315 429 |
| ● სუბსიდიები | 1500 000 |
| ● გრანტები | 157 374 |
| ● სხვა ხარჯები | 658 055 |
| II არაფინანსური აქტივების ზრდა | 1172 760 |

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 21062/10 29/10/2019

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, მე-2 სასწავლო კორპუსში ჩატარებული სარემონტო სამუშოების დასრულების შემდეგ დარჩენილი მატერიალური ფასეულობების (თუნუქი – 6662 კვ.მ – სავარაუდო წონით 22 000 კგ; ცენტრალური გათბობის ბატარეა (4096 ცალი სექცია) – სავარაუდო წონით 24 500 კგ; თეთრი ფერის პანელური რადიატორები (72 ცალი) – სავარაუდო წონით 2000 კგ; რკინის მილები (სხვადასხვა დიამეტრისა და გრძ.მ.) – სავარაუდო წონით 1500 კგ. - სულ ჯართი სავარუდო წონით 50 ტონა - დამოუკიდებელი აუდიტორის (შემფასებლის) 2019 წლის 15 აპრილის შეფასებით 1 ტონა ჯართის სარეალიზაციო ფასი ყველა გადასახადის ჩათვლით 330 ლარი) შემდგომი განკარგვა.
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის უფროსის N14408/10 კორესპონდენციაში ნახსენები 8 ტონა მაკულატურის (7,5 ტონა - თსუ-ს საკუთრება, 0,5 ტონა - სახელმწიფო საკუთრება; დამოუკიდებელი აუდიტორის (შემფასებლის) 2019 წლის 15 აპრილის შეფასებით 1 ტონა მაკულატურის სარეალიზაციო ფასი ყველა გადასახადის (მ.შ. დღგ) ჩათვლით 212,40 ლარი) შემდგომი განკარგვა.

დანართი: 4 ელექტრონული ფაილი.

პატივისცემით,

ნუნუ ოვსიანიკოვა

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 15211/10 06/08/2019

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას

მატერიალური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსის
გიორგი ტალახაძის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნუნუ,

მოგახსენებთ, რომ მატერიალური რესურსების მართვისა და საფინანსო დეპარტამენტებში მოძიებულ მასალებზე, ასევე სამეურნეო განყოფილების თანამშრომლების (ლ.მჭედლიშვილი, გ. ტოკლიკიშვილი) მიერ ადგილზე გადამოწმებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსში ჩატარებული სარემონტო სამუშოების (ხელშეკრულება N430/06, 03.05.2018წ.) დასრულების შემდეგ დარჩენილია მატერიალური ფასეულობები – ჯართის სახით, კერძოდ::

1. თუნუქი – 6662 კვ.მ – სავარაუდო წონით 22 000 კგ;
2. ცენტრალური გათბობის ბატარეა (4096 ცალი სექცია) – სავარაუდო წონით 24 500 კგ;
3. თეთრი ფერის პანელური რადიატორები (72 ცალი) – სავარაუდო წონით 2000 კგ;
4. რკინის მილები (სხვადასხვა დიამეტრისა და გრძ.მ.) – სავარაუდო წონით 1500 კგ.

სულ: 50 000 კგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, დაავალოთ ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 18 იანვრის №03/02-01 ბრძანებით შექმნილ კომისიას განიხილოს ხსენებულ ფასეულობათა განკარგვის საკითხი.

დანართი: 8 ელექტრონული ფაილი.

პატივისცემით,

გიორგი ტალახაძე

დეპარტამენტის უფროსი
მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი

# დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიში

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის წერილის N 1106/10 24.01.2019წ. თანახმად 1 ტონა შავი ლითონის ჯართის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ

ABC CONSULTING

# რეზიუმე

2019 წლის 16 აპრილი

ძვირფასო მეგობრებო

ქონების შეფასება **2019** წლის **15**აპრილის მდგომარეობით

ჩვენსა და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ს (თსუ) შორის 2019 წლის 6 თებერვლის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №42/06-ის და შეთანხმება №5-ის საფუძველზე მოხარულნი ვართ გაცნობოთ შემდეგი: ჩვენ დაგვევალა ქონების, კერძოდ წერილის 1106/10 24.01.2019წ. თანახმად მოგვეხდინა 1 (ერთი) ტონა შავი ლითონის ჯართის ამჟამინდელი საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

შეფასების ქმედითი (ეფექტური) თარიღია 2019 წლის 15 აპრილი.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ შეფასება განხორციელდა საერთაშორის საშემფასებლო სტანდარტების კომიტეტის (IVSC) მიერ შემუშავებული საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების (International Valuation Standards) შესაბამისად და რომ შეფასება განხორციელებულია დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია ქონების შეფასებითვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და 2019 წლის აპრილის მოპოვებული ბაზრის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენ ვთვლით, რომ 1 (ერთი) ტონა შავი ლითონის ჯართის საბაზრო ღირებულება დამრგვალებით, ყველა გადასახადის და ტრანსპორტირების ჩათვლით შეფასების ქმედითი ეფექტური თარიღისათვის შეადგენს:

---

**330** ლარს

(სამას ოცდაათი ლარი)

---

პატივისცემით:

ე. აბაიაძე / დირექტორი/
სერტიფიცირებული შემფასებელი

Address: 91, KetevanTsamebuli Ave, 0120, Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 57 84 25
Fax: +995 32 271 45 75 E-Mail: eduard.abaiadze@gmail.com

# შეფასების მოწმობა

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

1.წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები ნამდვილი და ზუსტია.

2.ყველა დასკვნა, დასაბუთება და მსჯელობა წარმოადგენს პროფესიონალი დამოუკიდებელი შემფასებლის შეხედულებას, თუ საწინააღმდეგო არ არის აღნიშნული.

3.შემფასებელს არ აქვს და ივარაუდება, რომ არც ექნება შესაფასებელი ქონებისგან სარგებელი.

4.შემფასებლის გასამრჯელოს საერთო არ აქვს შეფასების შედეგად მიღებულ ღირებულებასთან და ანგარიშში გადმოცემულ აზრებთან.

5.შემფასებლის გასამრჯელოს არ აქვს საერთო იმ ქმედებებთან და ფაქტებთან, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გამოკვლევის, განსჯის და/ან შეფასების შედეგად.

6.საშემფასებლო სამუშაოების შესრულებულია და თანხა გაანგარიშებულია საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების კომიტეტის (IVSC) მიერ შემუშავებული სტანდარტების (IVS) შესაბამისად.

7.ზემოაღნიშნული სტანდარტების მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა იმდენად, რამდენად ამის შესაძლებლობას იძლევა ქონების ბაზრის განვითარებულობის დონე საქართველოში.

8.შემფასებლის წარმომადგენლებს პირადად არ მოუნახულებიათ და შეუმოწმებიათ შესაფასებელი ქონება..

ედუარდ აბაიაძე
დირექტორი

სერტიფიცირებული ქონების შემფასებელი
თარიღი: 2019 წლის 15 აპრილი

ABC CONSULTING LTD 406136257

# დაშვებები და შემზღუდავი პირობები

ეს ანგარიში უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი დაშვებებისა და შემზღუდავი პირობების გათვალისწინებით:

1 .ანგარიში მართლზომიერია მხოლოდ მისი სრული სახით განხილვის და მითითებულის შესაბამისად გამოყენების შემთხვევაში.

2. ქონების შეფასება საბაზრო ღირებულების მართებულია მხოლოდ შეფასების ქმედითი (ეფექტური) თარიღისთვის. შემფასებელი არ არის პასუხისმგებელი იმ სოციალური, ეკონომიკური და/ან სამართლებრივი ცვლილებების გამო, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს ქონების ღირებულებაზე.

3. არც დამკვეთს და არც შემსრულებელს არ აქვს ამ ანგარიშის ან მისი რომელიმე ნაწილის სხვა მიზნით გამოყენების უფლება.

4. შემფასებელი არ არის პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, რაც დამკვეთმა ან შემსრულებელმა შეიძლება განიცადოს იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი ან საბოლოო ანგარიში გავრცელებულ, გამოქვეყნებულ ან გამოყენებულ იქნა ანგარიშში მითითებულისგან განსხვავებული მიზნით.

5. შემფასებელი ხაზს უსვამს, რომ ხელშეკრულების თანახმად იგი პასუხისმგებელია მხოლოდ დამკვეთის და არა რომელიმე სხვა იურიდიული თუ კერძო პირის წინაშე.

6. საბაზრო ღირებულება შეფასდა იმ დაშვების საფუძველზე რომ ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, დაყადაღებული და არ წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფას.

## ᲡᲐᲨᲔᲛᲤᲐᲡᲔᲑᲚᲝ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

საშემფასებლო პრაქტიკაში გამოიყენება სამი ძირითადი საშემფასებლო მიდგომა,რომელთაც გააჩნიათ ერთმანეტისგან განსხვავებული ამოსავალი წერტილი და ლოგიკა.ეს მიდგომებია:

- გაყიდვათა პირდაპირი შედარების მეთოდი (Direct Sales Comparison Approach);
- შემოსავლების განაღდების (კაპიტალიზაციის) მეთოდი (Income Capitalization Approach); და
- გაწეული დანახარჯების გაანგარიშების მეთოდი (Cost Approach).

*გაყიდვათა პირდაპირი შედარების მეთოდი:* გაყიდვათა პირდაპირი შედარების მეთოდით ქონების შეფასება გულისხმობს უძრავი ქონების ბაზრიდან ანალოგიურ ქონებათა გაყიდვებთან დაკავშირებული მონაცემების მოპოვებას და მათ ანალიზს, რომლის დროსაც ხორციელდება შესადარისი ობიექტების და შეფასების საგნის შედარება მათი მახასიათებლების მიხედვით.

*შემოსავლების განაღდების მეთოდი:* შემოსავლების განაღდების (კაპიტალიზაციის) მეთოდით ქონების შეფასების საფუძველს წარმოადგენს დებულება, რომ ნებისმიერი ქონების ღირებულება დამოკიდებულია მისი გამოყენების შედეგად მისაღები შემოსავლების ოდენობაზე. მაშასადამე, ამ დებულების თანახმად, საქმის მცოდნე და გათვითცნობიერებული პოტენციური ინვესტორი ქონებაში არ გადაიხდის იმაზე მეტს, რა ოდენობის წმინდა შემოსავლების მიღებაც არის შესაძლებელი თავად ქონების კომერციული დანიშნულებით გამოყენების შედეგად.

*გაწეული დანახარჯების გაანგარიშების მეთოდი:* გაწეული დანახარჯების განგარიშების მეთოდი გულისხმობს მიწის ნაკვეთის განაშენიანების შეფასებას მის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესაბამისად, ანუ *აღდგენითი ღირებულებით.* თავის მხრივ, არსებობს, აღდგენითი ღირებულების გაანგარიშების ორი გზა. პირველი არის ჩანაცვლების ღირებულება, ხოლო მეორე – აღწარმოების ღირებულება.

*ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებით* (Replacement Cost New) შეფასება გულისხმობს არსებული შენობის ფუნქციონალური ანალოგის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშებას, რომელიც შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად, ანუ თანამედროვე გეგმარებით, თანამედროვე სტილში, თანამედროვე მასალებით, თანამედროვე აღჭურვილობით და მიმდინარე ფასებში. ასეთი ანალოგი შესაძლოა გაცილებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვდეს, ვიდრე არსებული შენობის ზუსტი ასლის შექმნა. ასეთ შემთვევაში უპრიანია ფუნქციონალური ანალოგის ღირებულებით სარგებლობა, ანუ ჩანაცვლების ღირებულების გაანგარიშება.

რაც შეეხება *აღწარმოების მიმდინარე ღირებულებას* (Reproduction Cost New), ეს არის არსებული შენობა-ნაგებობების ზუსტი ასლის ღირებულება მიმდინარე ფასებში. ზუსტ ასლში იგულისხმება შენობის როგორც გეგმარების, ისე გამოყენებული სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების გამეორებით შექმნილი ახალი შენობა.

## <u>ღირებულებათა განსაზღვრებები</u>

### *საბაზრო ღირებულება*

ქონების საბაზრო ღირებულებას ჩვენ ვსაზღვრავთ იმავე სახით, როგორც იგი არის განსაზღვრულია საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების კომიტეტის მიერ საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტებში. კერძოდ, საბაზრო ღირებულება არის:

*შეფასებული თანხა, რომლის სანაცვლოდაც შეფასების თარიღისთვის ქონება უნდა გაიცვალოს მოსურნე მყიდველსა და მოსურნე გამყიდველს შორის, სათანადო მარკეტინგის ჩატარების შემდგომ, სავაჭრო გარიგების შედეგად, როდესაც მხარეები გათვითცნო-ბიერებული არიან გარიგების საგანში, მოქმედებენ წინდახედულად და ძალდაუტანებლად.*

*"The estimated amount for which a property should exchange on a date of valuation between a willing buyer and willing seller in an arm's-length transaction after proper marketing wherein the parties had each acted knowledgeably, prudently, and without compulsion."(dedani: IVS)*

### საუკეთესო და ყველაზე სარგებლიანი გამოყენება

ქონების ღირებულების შესაფასებლად შემფასებელმა პირველყოვლისა უნდა განიხილოს ქონება მის საუკეთესო და ყველაზე სარგებლიანი გამოყენების საშუალების კუთხით.

*ცნების განმარტება*

SPAP საუკეთეო და ყველაზე სარგებლიან გამოყენებას განსაზღვრავს შემდეგი სახით:

*ქონების ყველაზე სარწმუნო გამოყენების საშუალება, რომელიც ფიზიკურად შესაძლებელი, შესაბამისად დასაბუთებული, სამართლებრივად ნებადართული, ფინანსურად გან-ხორციელებადია და იძლევა შესაფასებელი ქონების უდიდეს ღირებულებას. (თარგმანის წყარო: ABCconsulting, LLC)*

*"The most probable use of a property which is physically possible, appropriately justified, legally permissible, financially feasible, and which results in the highest value of the property being valued."*

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 21062/10 29/10/2019

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, მე-2 სასწავლო კორპუსში ჩატარებული სარემონტო სამუშოების დასრულების შემდეგ დარჩენილი მატერიალური ფასეულობების (თუნუქი – 6662 კვ.მ – სავარაუდო წონით 22 000 კგ; ცენტრალური გათბობის ბატარეა (4096 ცალი სექცია) – სავარაუდო წონით 24 500 კგ; თეთრი ფერის პანელური რადიატორები (72 ცალი) – სავარაუდო წონით 2000 კგ; რკინის მილები (სხვადასხვა დიამეტრისა და გრძ.მ.) – სავარაუდო წონით 1500 კგ. - სულ ჯართი სავარუდო წონით 50 ტონა - დამოუკიდებელი აუდიტორის (შემფასებლის) 2019 წლის 15 აპრილის შეფასებით 1 ტონა ჯართის სარეალიზაციო ფასი ყველა გადასახადის ჩათვლით 330 ლარი) შემდგომი განკარგვა.
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის უფროსის N14408/10 კორესპონდენციაში ნახსენები 8 ტონა მაკულატურის (7,5 ტონა - თსუ-ს საკუთრება, 0,5 ტონა - სახელმწიფო საკუთრება; დამოუკიდებელი აუდიტორის (შემფასებლის) 2019 წლის 15 აპრილის შეფასებით 1 ტონა მაკულატურის სარეალიზაციო ფასი ყველა გადასახადის (მ.შ. დღგ) ჩათვლით 212,40 ლარი) შემდგომი განკარგვა.

დანართი: 4 ელექტრონული ფაილი.

პატივისცემით,

ნუნუ ოვსიანიკოვა

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 14408/10 25/07/2019

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 8 (რვა) ტონა მაკულატურის საწყისი გასაყიდი ფასი დადგინდა. შეფასება განხორციელდა საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების შესაბამისად, მოწვეული დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, რათა უზრუნველყოს პროცედურების დაწყება, გამოყენებისთვის უვარგისი საკანცელარიო წესით გამოყენებული ქაღალდის (მაკულატურა) რეალიზაციისთვის.

ირაკლი საღარეიშვილი

დეპარტამენტის უფროსი
საფინანსო დეპარტამენტი

# *დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიში*

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილი № 12066/10 26.06.2019წ. თანახმად 8 (რვა) ტონა მაკულატურის საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ

ანგარიში სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის წერილი № 12066/10 26.06.2019წ.თანახმად 8(რვა) ტონა მაკულატურის საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ

# შინაარსი


რეზიუმე ... 3

შეფასების მოცემობა ... 4
დაშვებები და შემზღუდავი პირობები ... 5

შეფასება – ძირითადი ნაწილი ... 6

ქონების დახასიათება ... 6
ქონების შეფასება ბაზრული პირდაპირი შედარების ხერხით ... 6
დასკვნა ... 6

საშემფასებლო მიდგომების ზოგადი მიმოხილვა ... 7
ღირებულებათა განსაზღვრებები ... 8
საბაზრო და ყველაზე სარგებლიანი გამოყენება ... 8

ABC CONSULTING

# რეზიუმე

2019 წლის 24 ივლისი

ძვირფასო მეგობრებო,

## ქონების შეფასება 2019 წლის 24 ივლისის მდგომარეობით

ჩვენსა და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ს (თსუ) შორის 2019 წლის 6 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №42/06-ის და შეთანხმება №7 და წერილი № 12066/10 26.06.2019წ.თანახმად საფუძველზე მოხარულნი ვართ გაცნობოთ შემდეგი:

ჩვენ დაგვევალა ქონების, კერძოდ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 8(რვა) ტონა მაკულატურის საწყისი გასაყიდი ფასის დადგენა.

შეფასების ქმედითი (ეფექტური) თარიღია 2019 წლის 24 ივლისი.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ შეფასება განხორციელდა საერთაშორის საშემფასებლო სტანდარტების კომიტეტის (IVSC) მიერ შემუშავებული საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების (International Valuation Standards) შესაბამისად და რომ შეფასება განხორციელებულია დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია ქონების შეფასებითვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და 2019 წლის ივლისის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენ ვთვლით, რომ შესაფასებელი მაკულატურის 8(რვა) ტონა გასაყიდი საბაზრო ღირებულება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე შეადგენს:

---

**1440 ლარს**

---

პატივისცემით:

ე. აბაიძე / დირექტორი/
სერტიფიცირებული შემფასებელი

Address: 91, KetevanTsamebuli Ave, 0120, Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 57 84 25
Fax: +995 32 271 45 75 E-Mail: abc@mail.ru

ანგარიში სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის წერილი № 12066/10 26.06.2019წ.თანახმად 8(რვა) ტონა მაკულატურის საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ

## შეფასების მოწმობა

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

1. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები ნამდვილი და ზუსტია.
2. ყველა დასკვნა, დასაბუთება და მსჯელობა წარმოადგენს პროფესიონალი დამოუკიდებელი შემფასებლის შეხედულებას, თუ საწინააღმდეგო არ არის აღნიშნული.
3. შემფასებელს არ აქვს და ივარაუდება, რომ არც ექნება შესაფასებელი ქონებისგან სარგებელი.
4. შემფასებლის გასამრჯელოს საერთო არ აქვს შეფასების შედეგად მიღებულ ღირებულებასთან და ანგარიშში გადმოცემულ აზრებთან.
5. შემფასებლის გასამრჯელოს არ აქვს საერთო იმ ქმედებებთან და ფაქტებთან, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გამოკვლევის, განსჯის და/ან შეფასების შედეგად.
6. საშემფასებლო სამუშაოების შესრულებულია და თანხა გაანგარიშებულია საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების კომიტეტის (IVSC) მიერ შემუშავებული სტანდარტების (IVS) შესაბამისად (მეცხრე გამოცემა).
7. ზემოაღნიშნული სტანდარტების მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა იმდენად, რამდენად ამის შესაძლებლობას იძლევა ქონების ბაზრის განვითარებულობის დონე საქართველოში.
8. შემფასებლის წარმომადგენლებს პირადად არ მოუნახულებიათ და შეუმოწმებიათ შესაფასებელი ქონება..

ედუარდ აბაიაძე
დირექტორი

სერტიფიცირებული ქონების შემფასებელი
თარიღი: 2019 წლის 24 ივლისი

## დაშვებები და შემზღუდავი პირობები

ეს ანგარიში უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი დაშვებებისა და შემზღუდავი პირობების გათვალისწინებით:

1. ანგარიში მართლზომიერია მხოლოდ მისი სრული სახით განხილვის და მითითებულის შესაბამისად გამოყენების შემთხვევაში.

2. ქონების შეფასება საბაზრო ღირებულების მართებულია მხოლოდ შეფასების ქმედითი (ეფექტური) თარიღისთვის. შემფასებელი არ არის პასუხისმგებელი იმ სოციალური, ეკონომიკური და/ან სამართლებრივი ცვლილებების გამო, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს ქონების ღირებულებაზე.

3. არც დამკვეთს და არც შემსრულებელს არ აქვს ამ ანგარიშის ან მისი რომელიმე ნაწილის სხვა მიზნით გამოყენების უფლება.

4. შემფასებელი არ არის პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, რაც დამკვეთმა ან შემსრულებელმა შეიძლება განიცადოს იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი ან საბოლოო ანგარიში გავრცელებულ, გამოქვეყნებულ ან გამოყენებულ იქნა ანგარიშში მითითებულისგან განსხვავებული მიზნით.

5. შემფასებელი ხაზს უსვამს, რომ ხელშეკრულების თანახმად იგი პასუხისმგებელია მხოლოდ დამკვეთის და არა რომელიმე სხვა იურიდიული თუ კერძო პირის წინაშე.

6. საბაზრო ღირებულება შეფასდა იმ დაშვების საფუძველზე რომ ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, დაყადაღებული და არ წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფას.

## შეფასება – ძირითადი ნაწილი

ქონების დახასიათება

შესაფასებელი ქონება წარმოადგენს თბილისის უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 8 (რვა) ტონა მაკულატურის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

ქონების შეფასება გაყიდვათა პირდაპირი შედარების ხერხით

ჩვენ მოვიკვლიეთ მაკულატურის ჩაბარების ფასები ადგილობრივ ბაზარზე და ჩამოვაყალიბეთ ჩვენი აზრი 8 (რვა) ტონა მაკულატურის საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

ამდენად, ჩვენი აზრით, ბაზრის მდგომარების გათვალისწინებით 2019 წლის 24 ივლისისათვის, შესაფასებელი 8(რვა) ტონა მაკულატურის საბაზრო ღირებულება შეადგენს დ.დ.გ.–ს გარეშე

**1440 ლარს**

(ერთი ათას ოთხას ორმოცი)

ლარს შეფასების ქმედითი (ეფექტური) თარიღისთვის.

## საშემფასებლო მიდგომების ზოგადი მიმოხილვა

საშემფასებლო პრაქტიკაში გამოიყენება სამი ძირითადი საშემფასებლო მიდგომა, რომლეთაც გააჩნიათ ერმანეთისგან განსხვავებული ამოსავალი წერტილი და ლოგიკა. ეს მიდგომებია:

- გაყიდვათა პირდაპირი შედარების მეთოდი (Direct Sales Comparison Approach);
- შემოსავლების განაღდების (კაპიტალიზაციის) მეთოდი (Ინცომე Capitalization Approach); და
- გაწეული დანახარჯების გაანგარიშების მეთოდი (Cost Approach).

*გაყიდვათა პირდაპირი შედარების მეთოდი:* გაყიდვათა პირდაპირი შედარების მეთოდით ქონების შეფასება გულისხმობს უძრავი ქონების ბაზრიდან ანალოგიურ ქონებათა გაყიდვებთან დაკავშირებული მონაცემების მოპოვებას და მათ ანალიზს, რომლის დროსაც ხორციელდება შესადარისი ობიექტების და შეფასების საგნის შედარება მათი მახასიათებლების მიხედვით.

*შემოსავლების განაღდების მეთოდი:* შემოსავლების განაღდების (კაპიტალიზაციის) მეთოდით ქონების შეფასების საფუძველს წარმოადგენს დებულება, რომ ნებისმიერი ქონების ღირებულება დამოკიდებულია მისი გამოყენების შედეგად მისაღები შემოსავლების ოდენობაზე. მაშასადამე, ამ დებულების თანახმად, საქმის მცოდნე და გათვითცნობიერებული პოტენციური ინვესტორი ქონებაში არ გადაიხდის იმაზე მეტს, რა ოდენობის წმინდა შემოსავლების მიღებაც არის შესაძლებელი თავად ქონების კომერციული დანიშნულებით გამოყენების შედეგად.

*გაწეული დანახარჯების გაანგარიშების მეთოდი:* გაწეული დანახარჯების განგარიშების მეთოდი გულისხმობს მიწის ნაკვეთის განაშენიანების შეფასებას მის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესაბამისად, ანუ *აღდგენითი ღირებულებით*. თავის მხრივ, არსებობს, აღდგენითი ღირებულების გაანგარიშების ორი გზა. პირველი არის ჩანაცვლების ღირებულება, ხოლო მეორე – აღწარმოების ღირებულება.

*ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებით* (Replacement Cost New) შეფასება გულისხმობს არსებული შენობის ფუნქციონალური ანალოგის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშებას, რომელიც შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად, ანუ თანამედროვე გეგმარებით, თანამედროვე სტილში, თანამედროვე მასალებით, თანამედროვე აღჭურვილობით და მიმდინარე ფასებში. ასეთი ანალოგი შესაძლოა გაცილებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვდეს, ვიდრე არსებული შენობის ზუსტი ასლის შექმნა. ასეთ შემთვევაში უპრიანია ფუნქციონალური ანალოგის ღირებულებით სარგებლობა, ანუ ჩანაცვლების ღირებულების გაანგარიშება.

რაც შეეხება *აღწარმოების მიმდინარე ღირებულებას* (Reproduction Cost New), ეს არის არსებული შენობა-ნაგებობების ზუსტი ასლის ღირებულება მიმდინარე ფასებში. ზუსტ ასლში იგულისხმება შენობის როგორც გეგმარების, ისე გამოყენებული სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების გამეორებით შექმნილი ახალი შენობა.

## ღირებულებათა განსაზღვრებები

*საბაზრო ღირებულება*

ქონების საბაზრო ღირებულებას ჩვენ ვსაზღვრავთ იმავე სახით, როგორც იგი არის განსაზღვრულია საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების კომიტეტის მიერ საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტებში. კერძოდ, საბაზრო ღირებულება არის:

*შეფასებული თანხა, რომლის სანაცვლოდაც შეფასების თარიღისთვის ქონება უნდა გაიცვალოს მოსურნე მყიდველსა და მოსურნე გამყიდველს შორის, სათანადო მარკეტინგის ჩატარების შემდგომ, სავაჭრო გარიგების შედეგად, როდესაც მხარეები გათვითცნო-ბიერებული არიან გარიგების საგანში, მოქმედებენ წინდახედულად და ძალდაუტანებლად.*

*"The estimated amount for which a property should exchange on a date of valuation between a willing buyer and willing seller in an arm's-length transaction after proper marketing wherein the parties had each acted knowledgeably, prudently, and without compulsion."(წყარო: IVS)*

## საუკეთესო და ყველაზე სარგებლიანი გამოყენება

ქონების ღირებულების შესაფასებლად შემფასებელმა პირველყოვლისა უნდა განიხილოს ქონება მის საუკეთესო და ყველაზე სარგებლიანი გამოყენების საშუალების კუთხით.

*ცნების განმარტება*

SPAP საუკეთეო და ყველაზე სარგებლიან გამოყენებას განსაზღვრავს შემდეგი სახით:

*ქონების ყველაზე სარწმუნო გამოყენების საშუალება, რომელიც ფიზიკურად შესაძლებელი, შესაბამისად დასაბუთებული, სამართლებრივად ნებადართული, ფინანსურად გან-ხორციელებადია და იძლევა შესაფასებელი ქონების უდიდეს ღირებულებას. (თარგმანის წყარო: ABC, LLC)*

*"The most probable use of a property which is physically possible, appropriately justified, legally permissible, financially feasible, and which results in the highest value of the property being valued."*